სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

05 ნოემბერი, 2025 წ.

ბრძანება № 01-08/831

ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ,,მწვანე სტიპენდიის" დანიშვნისა და გაცემის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე–13 მუხლის, ,,ბსუ-ს სტიპენდიების დანიშვნისა და გაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2023 წლის 17 ნოემბრის N07-01/58 გადაწყვეტილების, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს" (შემდგომში - „ცენტრი") და ბსუ-ს შორის 2024 წლის 24 ოქტომბრის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის და ამავე მემორანდუმის 2.1. პუნქტის ,,ბ" ქვეპუნქტის თანახმად 2025 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული „მწვანე სტიპენდიის" პროგრამის ფარგლებში თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულების,, ,,მწვანე სტიპენდიის" მიმღებ სამაგისტრო პროგრამების სტუდენტთა შესარჩევი კონკურსის თაობაზე" ბსუ-ს რექტორის **2025 წლის 28 ოქტომბრის N01-02/197 ბრძანების,** ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის მიერ სტიპენდიანტების შერჩევის თაობაზე ამავე ფაკულტეტის დეკანის 2025 წლის 31 ოქტომბრის N1473147 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,ეკოლოგიის" და ,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების" **სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების** სტუდენტებს **დაენიშნოს და გაიცეს ,,მწვანე სტიპენდია"** წინამდებარე ბრძანების N1 **დანართის** შესაბამისად.
2. წინამდებარე ბრძანების შესახებ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტმა აცნობოს სტუდენტებს (ბრძანება განთავსდეს მათ პირად საქმეებში) და სსიპ - „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს''.
3. ბრძანება პერსონალური მონაცემების დაცვით განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე (ველში ,,რექტორის ბრძანებები'').
4. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიურ სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს.
5. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი ტიტე არაშიძე

,,ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამების სტუდენტებისათვის 2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ,,მწვანე სტიპენდიის“ დანიშვნისა და გაცემის შესახებ“

ბსუ-ს რექტორის 2025 წლის 05 ნოემბრის № 01-08/831 ბრძანების

N1 დანართი

2025-2026 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში ,,მწვანე სტიპენდიის“ მიმღები ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის ,,ეკოლოგიის“ და ,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები

N	ბსუ-ს სტუდენტის სახელი, გვარი	პირადი ნომერი	ბსუ-ს სამაგისტრო პროგრამა და სწავლების წელი 2025-26 სასწ. წელს	გასაცემი ,,მწვანე სტიპენდიის“ ერთჯერადი ოდენობა ლარში (კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით).
1.	სესილი გათენაძე	59	,,ეკოლოგიის“ სამაგისტრო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი	1500 ლარი
2.	მარიზი ბოლქვაძე	86	,,ფიზიკური გეოგრაფია და გარემოს მდგრადი განვითარების“ სამაგისტრო პროგრამის მე-2 სასწავლო წელი	1500 ლარი